15. ხარისხის მინიჭება

15. 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (Ph.D) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს შემდეგ დარგებში:
ფილოსოფიის დოქტორი,
ფილოლოგიის დოქტორი,
ისტორიის დოქტორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
განათლების მეცნიერებების დოქტორი,
არქეოლოგიის დოქტორი,
ანთროპოლოგიის დოქტორი,
ამერიკანისტიკის დოქტორი
15.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო კომისიის დასკვნის დამტკიცების გზით.
15.3. სადისერტაციო საბჭოს მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭება კანონიერად ითვლება, თუ საბჭოს ესწრებოდა საბჭოს წევრთა 1/3 მაინც, მათ შორის, დისერტაციის პროფილის დარგობრივი სექციის წევრთა ½ მაინც. და თუ დისერტაციის დაცვას ხმა მისცა საბჭოს დამსწრე წევრთაგან 2/3-ზე მეტმა.
15.4. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეთ ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე (ან მისი არყოფნის შემთხვევაში დარგობრივი სექციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – კომისიის ერთ-ერთი წევრი), რომელიც საბჭოს წარუდგენს დისერტაციის დაცვის დოკუმენტაციას და დისერტაციის ერთ ეგზემპლარს. საბჭოს სხდომაზე იმართება მსჯელობა. საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით (თითოეული დისერტაციის მიმართ) ხმის მიცემა უნდა იყოს ფარული ან ღია.
15.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო კომისიის დასკვნის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საბჭო თავის წევრთაგან გამოყოფს ერთ ექსპერტს (სადისერტაციო თემის სპეციალისტს), რომლის წერილობით დასკვნას (რომელშიც წარმოდგენილი იქნება დისერტაციის შეფასება ზემოთ შემოთავაზებული სისტემის მიხედვით) დისერტანტის თანდასწრებით და საჭიროების შემთხვევაში სათანადო დისკუსიის თანხლებით მოისმენს საბჭოს რომელიმე მომდევნო სხდომაზე (სხდომას უნდა ესწრებოდეს სადისერტაციო კომისიის რამდენიმე წევრი, რომლებიც ამავე დროს არიან საბჭოს წევრები), რასაც თავიდან მოჰყვება ხმის მიცემის პროცედურა.თუ საბჭო სხდომაზე დაამტკიცებს ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის არადამაკმაყოფილებლად შეფასებას, დისერტაცია უბრუნდება დისერტანტს.
15.6. სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის დაცვის პროცედურის ამსახველი საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი სადისერტაციო სხდომის მასალებთან (და საგანგებო შემთხვევაში ექსპერტის დასკვნასთან) ერთად (დისერტაციის ეგზემპლარის გარდა) ინახება სადისერტაციო საბჭოში ორი წლის განმავლობაში და შემდეგ გადაეცემა თსუ-ს არქივს.